



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის N008/19¹ რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა

გიორგი ჩიკვილაძე (სტუდენტი)

1. შეკითხვა

შეუძლია თუ არა ადვოკატს საქმის წარმოებისას შეწყვიტოს კლიენტთან ხელშეკრულება, თუ კლიენტი მას აყენებს სიტყვიერ შეურაცხყოფას და ადვოკატისთვის მას ჰონორარი გადახდილი აქვს.

2. ანალიზი

თუ კლიენტი ადვოკატს სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებს, ადვოკატს შეუძლია თქვას უარი მომსახურების გაწევაზე აპეკ-ის 8.7 და 8.15 მუხლების დაცვით. მან ხელშეკრულებაზე უარის დროს უნდა დაიცვას ის გონივრული დრო, რაც მხარეს მისცემს შესაძლებლობას საქმის წარმოების პროცესში არ შეეზღუდოს ადვოკატის ყოლის უფლება. გონივრული დროის განსაზღვრება უნდა მოხდეს ყოველი კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, რადგან შემდგომ ადვოკატს ჰქონდეს შესაბამისი ვადები იმისათვის, რომ შეძლოს საქმის წარმოებაში სრულფასოვანი ჩართულობა. კლიენტის საქმიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია იმ გონივრული ვადის განსაზღვრა, რაც ახალი ადვოკატის საქმეში ჩართვის შესაძლებლობას უზრუნველყოფს ისე, რომ თავიდან იქნება აცილებული კლიენტის ინტერესებისათვის ზიანის მიყენება.

რაც შეეხება ჰონორარს, ვინაიდან, მომსახურება სრულად არ განხორციელებულა, იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატს მიღებული აქვს განსახორციელებელი ჰონორარი და ურთიერთობა შეწყდა, ადვოკატი ვალდებულია გამოუმუშავებელი ჰონორარი დაუბრუნოს კლიენტს, მიუხედავად იმისა, ვინ იქნება ურთიერთობის შეწყვეტის ინიციატორი. ჰონორარიც რეკომენდირებულია განისაზღვროს იმ წესით, რომ საქმის წარმოების შეწყვეტისას არ იყოს სადაო, თუ რამდენი გამოიმუშავა ადვოკატმა უკვე განხორციელებული მომსახურებით. ასევე, ადვოკატმა უნდა გაითვალისწინოს, რომ კლიენტთან საადვოკატო მომსახურების სტანდარტულ პირობებში გადახდილი თანხების დაუბრუნებლობის თაობაზე შეთანხმება ბათილია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი რეგულაციით.

ადვოკატის მიერ საადვოკატო მომსახურების შეწყვეტა შესაძლებელია, როდესაც კლიენტს აქვს საკმარისი დრო ადვოკატის ასაყვანად. მარტივი კატეგორიის საქმეებზე გონივრული დრო შეიძლება იყოს 2 კვირა, თუმცა რთული კატეგორიის საქმეებზე გაცილებით მეტი ვადა შეიძლება იყოს საჭირო, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ადვოკატმა უნდა გაითვალისწინოს.

¹ <https://gba.ge/pdf/5e28057a8322d.pdf/008.19%20werilobiti%20rekomendacia%2022.11.19.pdf>

ურთიერთობის შეწყვეტისას, ადვოკატის ეთიკური ვალდებულებაა დაუბრუნოს კლიენტს გამოუმუშავებელი ჰონორარი. შესრულებული სამუშაოს პროპორციულად მიღებული ჰონორარის გამოთვლისთვის, რეკომენდირებულია საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებით განსაზღვრული იყოს სამუშაო დროით ან მომსახურების ყოველი კონკრეტული ეტაპისთვის ჰონორარის ოდენობა, რაც თავიდან ააცილებს მხარეებს შესაძლო დავებს.

3. დასკვნა

ადვოკატს შეუძლია უარი თქვას კლიენტთან დადებულ ხელშეკრულებაზე, თუმცა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს, რომ ვალდებულია დაიცვას გონივრული ვადა და კლიენტს დაუბრუნოს ზედმეტად გადახდილი ანაზღაურება.